პავლე ჭანტურიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
pavle.che@gmail.com

# მუჰამადი და ნაჯრანის დაცვის სიგელი

**რეზიუმე**

VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ვითარებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განსაზღვრავდა კონფლიქტი ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის. არაბეთის ნახევარკუნძულზე არ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო, ხოლო იქ არსებული რეგიონები და მათი მმართველები მონაწილეობდნენ ზემოხსენებული უძლიერესი იმპერიების გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში დამხმარე სამხედრო ძალის სახით. მუჰამადის დროს არაბეთის ნახევარკუნძულის ბედ-იღბალს რეგიონალური სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა.

IV საუკუნეში ეთიოპიის ქრისტიანული სამეფოს გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ქრისტიანობის გავრცელება ქალაქ ნაჯრანში, სადაც გადიოდა სავაჭრო გზა ჩრდილოეთიდან (ჰიჯაზიდან) და აღმოსავლეთიდან (იამამადან). რელიგიურ ვითარებას ართულებდა ისიც, რომ II-III საუკუნეებში სამხრეთ არაბეთში გავრცელდა იუდაიზმი, რომელიც აქ ებრაელმა ვაჭრებმა შემოიტანეს. VI საუკუნის დამდეგს სამხრ ეთ არაბეთში არსებულმა ჰიმიარის სამეფოს მმართველმა ელიტამ იუდაიზმი მიიღო, რაც ქრისტიანულ ეთიოპიასთან საბოლოო გამიჯვნას ნიშნავდა. 525 წელს, ბიზანტიის წაქეზებითა და მხარდაჭერით, ეთიოპიის აქსუმის სამეფომ დაიკავა სამხრეთ არაბეთი, რომელიც 570-იან წლებში ირანმა დაიპყრო და თავისი კონტროლი დაამყარა სატრანზიტო ვაჭრობაზე, რამაც გამოიწვია არაბებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების შესუსტება. შესაბამისად, არაბეთის ნახევარკუნძულზე კიდევ უფრო გაძლიერდა ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა. ქრისტიანობისა და იუდაიზმის გავლენით კი გამოჩნდნენ ერთღმერთიანობის მქადაგებლები - ჰანიფები, რომლებიც უარყოფდნენ ტომობრივი კერპების თაყვანისცემას. ითვლება, რომ სწორედ ჰანიფების მოძრაობამ სათავე დაუდო მუჰამადის მისიონერულ მოღვაწეობას.

ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში, არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე კერპთაყვანისმცემლობის ფართოდ გავრცელების ფონზე, საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდათ იუდეველთა, ქრისტიანთა და საბაელთა რელიგიურ თემებსაც, რომლებიც ყურანში მოხსენიებული არიან ტერმინით اهل الكتاب („საღვთო წერილის მქონე ხალხი“).

მუჰამადი და არაბი ხალიფები ქრისტიანული ქალაქების მოსახლეობასთან აფორმებდნენ ხელშეკრულებებს ზავის, კაპიტულაციის ან შეუვალობის შესახებ (დაცვის სიგელები), რომლებშიც განსაზღვრული იყო ქრისტიანთა უფლებრივი მდგომარეობა. ამ ხელშეკრულებების უმეტესობა არ იყო შეტანილი კლასიკურ ისლამურ წყაროებში. ამის გამო მათი ავთენტურობა ეჭვქვეშ დააყენეს როგორც მუსლიმმა, ისე დასავლელმა მკვლევრებმა. თუმცა, უდავოა ამ ხელშეკრულებების თეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა როგორც მუსლიმურ-ქრისტიანული ურთიერთობების თვალსაზრისით, ისე ისლამის მიმდევრებისა და მათ მიერ დამორჩილებული ხალხების ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად.

წინამდებარე ნაშრომში ისლამის ფუძემდებლისა და ქრისტიანი ნაჯრანელების ურთიერთობები და მათ შორის დადებული დაცვის სიგელი, რომელიც ქართულ ენაზე ვთარგმნეთ, გაანალიზებულია არაბეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკური გარემოებების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონის გეოპოლიტიკური ვითარების

კონტექსტში. მისი გარჩევა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ადრეული ისლამის ისტორიაში მუსლიმებისა და ქრისტიანების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები განვაზოგადოთ.

დასკვნაში ნაჩვენებია, რომ ამ ტიპის დაცვის სიგელების გაფორმებით, ალაჰის მოციქული ღიად დაუპირისპირდა მეზობელი ირანისა და ბიზანტიის იმპერიებს, რომელთაც წაართვა გავლენის სფეროები, რაც ფაქტობრივად, მათთან ღია კონფრონტაციაში ჩაბმის ტოლფასი იყო.

**საკვანძო სიტყვები:** მუჰამადი, არაბეთის ნახევარკუნძული, ქრისტიანები, რეგიონალური გეოპოლიტიკა, დიპლომატია, დაცვის სიგელი.

ისლამის გამოჩენის დროს, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიები საკუთარი ეკლესიის ორგანიზებით იყვნენ დაკავებულები. თითოეული მათგანი, ნებით თუ უნებლიეთ, მრავალ მიმდინარეობად დაშლილ დედა ეკლესიას, კიდევ უფრო მეტად ანაწევრებდა (Debie 2016, 54). ამის შესახებ უნდა გვამცნობდეს ყურანიც (ყურანი, 2006, 19:37; 2:253, 6:159, 42:14).

ს. გრიფიტი მცდარად მიიჩნევს მკვლევართა მოსაზრებას, რომ მუჰამადს ქრისტიანების უმნიშვნელო ერესულ ჯგუფებებთან ჰქონდა ხშირი კონტაქტი, რადგანაც ისინი იმ პერიოდში უკვე აღარ არსებობდნენ. იგი აღნიშნავს, რომ ისლამის ფუძემდებელს კონტაქტი ჰქონდა იაკობინელებთან, მელქიტებთან და ნესტორიანელებთან და, სავარაუდოდ, მათ მოიხსენიებს ყურანი „ნაზარეველებად“ ან „ნაზორეველებად“ როგორც ქრისტიანების კრებსითი სახელის აღმნიშვნელ (სირიულ) ტერმინს (Griffith 2001, 314). ს. გრიფიტი წერს: „ყურანში ნახსენები ქრისტიანული ტერმინოლოგია იმაზე მეტყველებს, რომ მუჰამადის დროს ჰიჯაზის რეგიონში საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონდათ ქრისტიანობის შესახებ. როგორც ჩანს, ჰიჯაზელების გარემოცვაში არაერთი ქრისტიანული თემი ცხოვრობდა, ხოლო ისლამი დასაწყისიდანვე დიალოგის რეჟიმში იყო როგორც იუდაიზმთან, ისე ქრისტიანობასთან“ (Griffith 2001, 314).

ისლამამდელ პერიოდში სპარსეთის ყურის რეგიონი თითქმის მთლიანად გაქრისტიანებული იყო, მეტწილად ნესტორიანელი მისიონრების და ვაჭრების ძალისხმევით, რომლებსაც სასანიანთა ირანი მფარველობდა (Crone 2004, 46-47). ამას კი გასულ ათწლეულებში ქუვეითში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთსა და კატარში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ნესტორიანული ეკლესიები ადასტურებს, რომელთა უმრავლესობაც VI ს-ით თარიღდება (Elders 2001; Carter 2008; Hoyland 2001).

ბიზანტიაც რეგიონში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და გავლენის მოსაპოვებლად წარმატებით იყენებდა რელიგიური ექსპანსიის სტრატეგიას, რაც გულისხმობდა ქრისტიანობის, როგორც იდეოლოგიური იარაღის გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის არაბეთის ნახევარკუნძულზე (Zouberi 2017, 121).

გ. ლობჟანიძე წერს: „ყურანის მიმართება ქრისტიანობასთან არაერთგვაროვანია. იგი მეგობრულ კეთილგანწყობასა და მტრობას შორის მერყეობს. ამ მერყეობის ამპლიტუდა კი, არცთუ იშვიათად, მოციქულის პირად განწყობასა და, უფრო მოგვიანებით, ისლამის ინტერესებზეა დამოკიდებული“ (ლობჟანიძე 2004, 188)

630 წლისათვის, როდესაც მუჰამადმა გააერთიანა არაბეთის ნახევარკუნძული, მუსლიმები და ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ რეგიონებში მცხოვრები ქრისტიანი არაბები ანტაგონისტურ პოზიციებზე აღმოჩნდნენ, რადგანაც ეს უკანასკნელნი ბიზანტიის ინტერესებს ატარებდნენ რეგიონში (Watt 1956, 319-320). მ. უოტის აზრით, სწორედ ამ დროს გარდმოევლინა ალაჰის მოციქულს აიები, რომელშიც ვკითხულობთ მოწოდებებს ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაზე და ჯიზიის დაკისრებაზე (ყურანი 2006, 9:29-32).

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ნაჯრანის სიგელის გაფორმებაც, რომელიც ქრისტიანებისა და მუსლიმების ურთიერთობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. არაბთა დაპყრობით ომებში მუსლიმი მხედართმთავრებისთვის ის იქცა კლასიკურ მაგალითად სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე დამორჩილებულ ქრისტიანებთან ურთი-

ერთობების განსასაზღვრად. 630-631 წწ. ე.წ. „ელჩობის წლებში“ პოლიტიკურ და რელიგიურ ასპარეზზე გამარჯვებულ მუჰამადთან არაბეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა რეგიონიდან დელეგაციები მიემართებოდნენ, რათა მასთან სავაჭრო თუ დიპლომატიური ხელშეკრულებები გაეფორმებინათ (Ибн Хишам 2007, 578).

მუჰამადსა და იემენელ დელეგატებს შორის გაფორმებული სიგელები ძირითადად ეხებოდა ფინიკისა და პალმის მოსავლით ჯიზიის გადახდის ვალდებულებას, ასევე მორწყული მიწებით მოწეული ნაყოფებით (სადაკის) გადახდის აუცილებლობას (Ибн Хишам 2007, 580-582). თავის მხრივ კი, ეს დელეგაციები მუჰამადს ეკითხებოდნენ სხვადახვა სოციალურ საკითხთან დაკავშირებულ რჩევებს (Пиотровский 1985, 127).

ტ. ფაუერის დასკვნით, მუჰამადი ამ დელეგაციებს არ სთხოვდა ისლამის მიღებას, რადგანაც ამ შეხვედრების მთავარი მიზანი არ ყოფილა რელიგიური საკითხების განხილვა (Power 2012, 89-90). თუმცა, მაჰამ მირზა მიიჩნევს, რომ ნაჯრანის დელეგაციის მუჰამადთან შეხვედრა ეს იყო არა პოლიტიკური დიალოგი, არამედ თეოლოგიური დისკურსი, რასაც მკვლევართა წრეები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ (Mirza 2011, 159-170). ამავე აზრს იზიარებდა ს. გრიფიტიც (Griffith 2001, 309).

ნაჯრანის დელეგაციასთან ისლამის ფუძემდებელმა რელიგიური დისკურსი და დიალოგი გამართა, რაც ყურანის მე-2 სურის 107-147 აიებსა და მე-3 სურის 1-80 აიებშია გადმოცემული (ყურანი 2006, 464).

ვინ იყვნენ ნაჯრანელები და რატომ უკავიათ მათ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი ადრეული ისლამისა და ქრისტიანების ურთიერთობებში? ისლამამდელი პერიოდის ნაჯრანი ცნობილი იყო სოფლის მეურნეობითა და ინდუსტრიით. ქალაქში დაწინაურებული იყო იარაღის, ტანსაცმლის წარმოება და ვაჭრობა. ნაჯრანი III-ე საუკუნიდან ჰიმიარის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მოექცა. V საუკუნიდან კი მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრი გახდა და მჭიდრო კონტაქტები დაამყარა სირია-პალესტინის ეკლესიასთან და ქალაქში საეპისკოპოსო ეპარქიაც დაარსდა. ყურანში მის შესახებ ალეგორიული სახით ვკითხულობთ ალუზიას, რომ ის „ალაჰის მიერ ნაკურთხი, საჩინო სოფელია“ (ყურანი 2006, 34:18). მუჰამადის დროს ქალაქში დომინირებული ტომი იყო ბალჰარისი, რომელშიც გამორჩეული გვარი ბანუ ‘აბდ ალ-მადანი იყო (Shahid 2003, 500-501).

ისლამის ფუძემდებლის სიცოცხლეში იემენი დაქსაქსული იყო. ერთ დროს სასანური ირანის სრულ კონტროლქვეშ შემავალ ნაჯრანში აღარ არსებობდა ცენტრალური მმართველობის აპარატი. ამას ჩრდილოეთიდან ბედუინების თავდასხმებიც ემატებოდა (Watt 1956, 25-26). იემენის სამხრეთ რეგიონები ალაჰის მოციქულის დროს სასანიანთა ირანს ექვემდებარებოდა და უშუალოდ მის ტერიტორიაში შედიოდა (Негря 1981, 49-50). ირანელების მიერ იემენის ოკუპაცია უმთავრესად იქ არსებული ვერცხლის და ოქროს საბადოების არსებობით იყო განპირობებული (Dunlop 1957, 41-43).

მუჰამადის დროს სამხრეთ იემენში გამაგრებული აბნა’ს თემებს სასანიანთა ირანი სრულად აკონტროლებდა (Пиотровский 1985, 150-151). V-VI საუკუნეებში აბნა’ს მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავათ და სპარსელთა სასარგებლოდ აგროვებდნენ გადასახადებს. აბნა’ იემენში სათავეში ედგა ვერცხლის მოპოვებას და მთავარ ვერცხლის საბადოებსაც ფლობდა (Пиотровский 1985, 102).

ხოსრო ფარვიზის მკვლელობის შემდეგ, 628 წლიდან ვიდრე 632 წლამდე, ირანში არეულობის ხანა დაიწყო ტახტის ხელში ჩასაგდებად. შესაბამისად, იმ დროისათვის მექაზე გამარჯვებულ მუჰამადს შეეძლო კონტროლი დაემყარებინა არაბეთის ნახევარკუნძულის სასანიანთა ირანის იმ ხანად უკვე ყოფილ გავლენის სფეროებზე. ამის დასტური უნდა იყოს ერთი მხრივ მასსა და მეორე მხრივ, ნაჯრანელებს და ბაჰრეინელებს შორის ზავისა და შეუვალობის სიგელებების გაფორმება (Robin 2012, 298).

აბნა’ მუჰამადის დროს პოლიტიკურად ძალიან შევიწროვებული იყო და თავის გადასარჩენად სტაბილურ პოლიტიკურ მოკავშირეს ეძებდა (Watt 1956, 129), ამიტომაც იემენის

უკანასკნელ მარზპან ბადანს, ისლამის აღიარებისა და მუჰამადის პოლიტიკური მორჩილების გარდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა (Power 2012, 83).

ალაჰის მოციქულსა და ნაჯრანელებს შორის კონტაქტი ჯერ კიდევ მექურ პერიოდში დამყარდა. იბნ ისჰაკის თანახმად, დაახლ. 20 ქრისტიანი ჩავიდა მუჰამადთან მექაში აბუ ტალიბის გარდაცვალებამდე (619 წ.). იბნ ისჰაკს სჯერა, რომ ქრისტიანთა დელეგაცია იყო ეთიოპიიდან, მაგრამ შემდეგ ამატებს: „ამბობენ, რომ ეს ქრისტიანები ჩამოვიდნენ ნაჯრანიდან, მაგრამ ღმერთმა უწყის, იყო თუ არა ეს ასე“ (Guillaume 2006, 179). იბნ ქასირის თანახმად, ნაჯრანის ქრისტიანები ორჯერ ჩავიდნენ მედინაში ჰიჯრის 9/631 და 10/632 წელს (Ibn Kathir 1998, 73-75). IX საუკუნის უცნობი ნესტორიანელი ისტორიკოსის „სიერტის ქრონიკაში“ ვკითხულობთ დელეგაცის წევრთა სახელებსაც: ას-საიიდ ღასსანი, ‘აბდუ იაშუ [აბდიშუ], იბნ ჰიჯრა, ბერი იბრაჰიმი და ეპისკოპოსი ‘ისა (Scher 1919, 605).

როგორც ირკვევა, მუჰამადმა ნაჯრანელებთან ერთად ილოცა მისსავე მეჩეთში (Ibn Sa’d n.d., 307). თავდაპირველად მუჰამადი ხმას არ იღებდა სტუმრების ძვირფასი ტანისამოსის გამო (Ibn Sa’d n.d., 307). მეორე დღეს ნაჯრანელები მღვდლის სადა ტანისაცმლით ეახლნენ მუჰამადს და ალაჰის მოციქულმაც მათ ისლამის მიღებისკენ მოუწოდა (ყურანი 2006, 3:31-32, 126), სახელდობრ კი, იმ რწმენისკენ, რომელიც მუჰამადმა მედინაში დააფუძნა და არა ზოგადად ღმერთის აღიარებისკენ (Nickel 2006, 187). ნაჯრანელებმა უარჰყვეს ეს შემოთავაზება და მაშინ „გამრავლდა საუბარი და დავა მათ შორის“ (كثُر كلام و الحجاج بينهم) (Ibn Sa’d n.d., 307). ნაჯრანელებმა მიუგეს მუჰამადს, რომ ისინი მუჰამადამდე ადრე იყვნენ „მინდობილები ღმერთს“.

მე-8 ს-ში მცხოვრები ყურანის კომენტატორი მუკათილ იბნ სულაიმანი აღნიშნავდა, რომ ყურანის 5:72-77 და 4:171-172 აიებიც ნაჯრანელებთან მიმართებით იქნა გარდმოვლენილი (Nickel 2006, 177). მესამე სურაში ჩანს, რომ მუჰამადმა ნაჯრანელებს მარიამის შობა, ზაქარიასთვის ანგელოზის მიერ ძის - იოანეს დაბადების ხარება, რომელიც ,,ალაჰის სიტყვის“[1] წინამორბედი და მახარობელი იქნებოდა და ზაქარიას დამუნჯების ამბავი უამბო, (ყურანი 2006, 3:40-41, 126), ასევე მარიამის ხარება (იესოთი) და იესოს უბიწოდ ჩასახვისა და ყრმა იესოს აკვნიდან საუბარზეც გაამახვილა ნაჯრანელების ყურადღება (ყურანი 2006, 3:42, 126). მუჰამადი ნაჯრანელებს იესოს სხვადასხვა ჩადენილი სასწაულისა და ცოცხლად ზეცაში აყვანის შესახებაც ელაპარაკა (ყურანი 2006, 3:48, 126). მან ნაჯრანელებს შეახსენა, რომ ისინი გაყოფილები იყვნენ რწმენაში და უთანხმოებდნენ ერთმანეთს შორის (ყურანი 2006, 3:59/66, 3:57/64, 3:101/105).

მუჰამადი მზადი იყო მიეღო ნაჯრანელების შემოთავაზება - ალაჰის წყევლა გარდმოსულიყო იმათზე, ვინც მათ შორის ცდებოდა (al-Baladhuri 1916, 99). ეს წყევლა ისლამურ ისტორიოგრაფიში „მუბაჰალას“ სახელით არის ცნობილი (ყურანი 2006, 3:54/61). როდესაც მუჰამადმა ვერ დაარწმუნა ნაჯრანელები, მაშინ მათ შორის გაფორმდა დაცვის სიგელი, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთობების სტილი, რაც შემდგომ ათწლეულებში საფუძვლად დაედო არაბი მხედართმთავრების მიერ ქრისტიან თემებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს (ჯაფარიძე 1999, 153-154).

ალ-ბალაზურის მიერ ჩაწერილი ნაჯრანის დაცვის სიგელი (Al-Balādhurī 1987, 85-89) ლ. ნადირაძესა და მ. პიოტროვსკის აქვთ თარგმნილი რუსულ ენაზე და გაანალიზებული (Надирадзе 1968, 84-85), ხოლო მუჰამად სიდიკ კურეშის - ინგლისურ ენაზე (Qureshi 1991, 182-183). წინამდებარე თარგმანი კი ჩვენს მიერ არის შესრულებული:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის ის, რაც დაუწერა ალაჰის წინასწარმეტყველმა და მოციქულმა მუჰამადმა ნაჯრანელებს, მაშინ, როცა მუჰამადს ძალაუფლება ჰქონდა აეღო მათი ხილის თეთრი ნაყოფის (ვერცხლის), ყვითელი ნაყოფის (ოქროს) და შავის წილი, ისევე როგორც ჰქონდა ძალაუფლება მათ მონებზე* (Большаков 2000, 178-179), *მაგრამ მან მოწყალება გამოიჩინა ნაჯრანელებზე და დაუტოვა მათ ეს ყველაფერი, ყოველ*

[1] „ალაჰის სიტყვის“ შესახებ იხ. *ყურანი.* არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, 467-472.

*წელს 2000 ძვირფასი სამოსელის (ჰულას) გადახდის სანაცვლოდ, რომელთაგანაც თითოეულის ფასი ერთ უკიაზე (40 დირჰამზე) ნაკლები არ უნდა ყოფილიყო* (Al-Baladhuri 1916, 100). *მათ შეუძლიათ, რომ 1000 ძვირფასი სამოსელის ოდენობა საფარის თვეში გადა(გვ)იხადონ, ხოლო მეორე ათასის ოდენობა - რაჯაბის თვეში. თუკი სამოსელის ფასი, რომლითაც ხარაჯას იხდიან 1 უკიაზე ნაკლები ან მეტი აღმოჩნდება, ჩვენ ამას გადავთვლით და გავითვალისწინებთ. ხოლო თუ ისინი აბჯრებით, ცხენებითა და უზანგებით გადაიხდიან, ეს მათ ჩაეთვლებათ (ხარკში).*

*ნაჯრანელებს ევალებათ ერთი თვის განმავლობაში მოციქულის ემისრებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მათ ერთ თვეზე მეტხანს არ უნდა დააყოვნონ ჩემი ემისრები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იემენიდან მზაკვრული შეთქმულების საფრთხე გაჩნდება, მაშინ ნაჯრანელებმა 30 აბჯარი და უზანგი,[2] 30 ცხენი და 30 აქლემი დროებით უნდა გვასესხონ. და რაც დაიღუპება ან დაიკარგება იმ ცხენებიდან, აქლემებიდან და უზანგებიდან, რასაც კი დროებით სარგებლობაში გვასესხებენ, ეს ემისრების პასუხისმგებლობა იქნება და მათ მიერ დაზღვეული იქნება, ისე რომ [ზარალი] ნაჯრანელებს [მთლიანად] აუნაზღაურდებათ.*

*ნაჯრანელებს და ნაჯრანის შემოგარენ მოსახლეობას მათ სიცოცხლეზე, მათ რელიგიურ თემზე, მათ მიწებზე, მათ ქონებაზე ალაჰის მფარველობა და მისი მოციქულისა და წინასწარმეტყველის მფარველობის გარანტია აქვთ.[3] [დაცვისა სიგელის პირობები ვრცელდება] მათზე, ვინც არ ესწრება და ვინც ესწრება [სიგელის წაკითხვას], მათ ქარავნებზე და მათ რელიგიურ დღესასწაულებზე და არაფერი ემუქრება მათ ხატებს.*

*მათი ვითარება არ შეიცვლება[4] [ისევე როგორც] მათი ხატების ფლობის უფლება და ასევე საზოგადოებრივი უფლებები არ შეიცვლება, არცერთი ეპისკოპოსი არ დაკარგავს სასულიერო წოდებას, არც ბერი დატოვებს [ბერობას], არც მღვდელი დატოვებს სამღვდელო ჩინს. მათ ყველაფერი შეუნარჩუნდებათ, რაც კი აქვთ. მათ არ მოეთხოვებათ პასუხი ბოროტებაზე (რაც ძველად ჩაუდენიათ) და არც სისხლზე, რაც ჯაჰილიის ხანაში დაუღვრიათ* (Колесников 1967, 25). *მათ არ ევალებათ [მუსლიმებისთვის] სამხედრო დახმარების აღმოჩენა და არც [შემოსავლის] „მეათედის“ გადახდა ევალებათ. მათ მიწაზე ფეხს არ დაადგამს [მუსლიმების] ჯარი.*

*მათგან ვინც სამართალს ეძებს, სამართლიანობა უნდა მონახოს, რათა მათ შორის არც მჩაგვრელი და არც დაჩაგრული არ აღმოჩნდეს. ვინც წინა წლის ვალის უწესო სარგებელს აიღებს, მას აღარ ექნება ჩემი ზავისა და შეუვალობის გარანტია* (Al-Baladhuri 1916, 101). *ამიერიდან არავინ იქნება პასუხისმგებელი სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მათ ყოველთვის აქვთ ალაჰის [დაცვა] და წინასწარმეტყველ მუჰამადის მფარველობის გარანტია[5] იმაზე, რაც ამ დოკუმენტშია, სანამ ალაჰის ბრძანება არ გარდმოვა.*

*რაზედაც ამ საბუთში შეთანხმდნენ და დაზავდნენ, მათი მოვალეობებია, ისე, რომ მხარეები უსამართლობით არ არიან შეთანხმებულები. აბუ-სუფიან იბნ ჰარბი, ღილან იბნ 'ამრი, მალიქ იბნ-'ავფი ბანუ ნასრის ტომიდან, აკრა' იბნ ჰაბის ალ-ჰანზალი და მუღირა იბნ შუ'ბა მოწმეები არიან ამ დოკუმენტის გაფორმებისა. ეს დოკუმენტი ნაჯრანელებისთვის დაწერა 'აბდალაჰ იბნ აბუ ბაქრმა“.* (Al-Balādhurī 1987, 85-89).

---

[2] მიუხედავად იმისა, რომ წყაროში გვაქვს ركاب, რაც ქართულ ენაზე „უზანგს“ ნიშნავს და ასე აქვთ თარგმნილი ა. კოლესნიკოვსა და შმიდტს (стремя), გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ მ. პიოტრივსკის, ო. ბოლშაკოვსა და მუჰამად კურეშის ეს სიტყვა გამოტოვებული აქვთ, რაც არ გამორიცხავს, რომ სიტყვა „უზანგი“ მოგვიანო პერიოდში ყოფილიყო ჩამატებული გადამწერების მიერ. თუმცა, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

[3] جوار الله و ذمة محمد

[4] მიუხედავად ამისა, წყაროში ვკითხულობთ, რომ მუჰამადმა ნაჯრანის გამგებლად დანიშნა 'ამრ იბნ-ჰაზმ ალ-ანსარი, ხოლო მას შემდეგ აბუ-სუფიან იბნ-ჰარბი (Al-Baladhuri 1916, 107).

[5] ذمة محمد

## დასკვნა

ნაჯრანის და დუმათ ალ-ჯანდალის სიგელების გაფორმებით ალაჰის მოციქული ღიად დაუპირისპირდა ირანსა და ბიზანტიას.[6] იგი მზად უნდა ყოფილიყო ამ იმპერიებთან კონფრონტაციაში ჩასაბმელად. თუმცა, ისლამის ფუძემდებელი, როგორც ჩანს, ხვდებოდა, რომ ბიზანტიელები და ირანელები ვერ გაბედავდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიების სიღრმეში სამხედრო ინტერვენციას.

ამ საბუთში დაფიქსირებული იყო ქრისტიანების უფლებრივი მდგომარეობა. ეს დაცვის სიგელი მუსლიმი მხედართმთავრებისთვის ასრულებდა მაგალითის როლს მომავალ არაბთა დაპყრობით ომებში ქრისტიანებთან დამოკიდებულების განსაზღვის დროს.

ალაჰის მოციქული მოქმედებდა რეგიონში არსებული ომისა და დიპლომატიის კანონებით, როდესაც რეგიონალურ პოლიტიკურ ძალებთან აფორმებდა ზავისა და შეუვალობის სიგელებს. ნაჯრანთან და დუმათ ალ-ჯანდალთან ურთიერთობების დამყარებით და მათთან ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელების გაფორმებით მედინის თეოკრატიულმა თემმა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის შესახებ განაცხადა და ამავდროულად, საკუთარ ბანაკში გადაიბირა ირანისა და ბიზანტიის ნომინალური გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონები.

აქედან გამომდინარე, მედინის დაპირისპირება ირანთან და ბიზანტიასთან მუჰამადის დროს იყო დაწყებული. რადგანაც ირანმა რეაქციის გარეშე დატოვა მუჰამადსა და ნაჯრანელებს შორის დადებული სიგელი, ეს ნიშნავს, რომ ქტეზიფონმა დე-იურე აღიარა ნაჯრანი ისლამური სახელმწიფოს გავლენის სფეროდ. ირანს იმ ხანად აღარ შესწევდა ძალა ამ რეგიონზე კონტროლის დასაბრუნებლად.

მუჰამადთან ,,ელჩობის წელს“ ნაჯრანელებთან თეოლოგიურ საკითხებზე დიალოგსა და შეპაექრებას იმდენად დიდი გავლენა აღმოაჩნდა ისლამის პოლიტიკურ ისტორიაზე, რომ ის ყურანის აიებშიც კი ვრცლად იქნა აღბეჭდილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისლამური თვალთახედვით, მუჰამადის საუბარი მათთან ღვთაებრივი ინსპირაციით იქნა წარმართული. შესაბამისად, ნაჯრანელებთან მუჰამადის გაბაასება და მათ შორის დადებული სიგელი ისლამის პოლიტიკური თეოლოგიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


ლობჟანიძე, გიორგი. 2004. „ყურანი და ქრისტიანობა“, *სჯანი,* V. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი: 188-196.

*ყურანი.* 2006. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ. თბილისი: კავკასიური სახლი.

ჯაფარიძე, გოჩა. 1999. „ნასარა.“ *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი:* 153-154.

Al-Baladhuri, Al-Imam abu-l ‘Abbas Ahmad ibn-Jabir. 1916. *Kitab Futuh al-Buldan. The Origins of the Islamic State*, Being a Translation from the Arabic Accompanied with Annotations, Geographic and Historic Notes of the Kitab Futuh Al-Buldan by Philip Khuri Hitti. New York: Khayats.

Al-Balādhurī, ’Aḥmad bin Yaḥyā bin Jābir bin Dāwud. 1987. *Futūḥ al-buldān.* Bayrūt.
( البلاذري , احمد بن يحيي بن جابر بن داود. 1987. فتوح البلدان . بيروت. )

Carter, R. A. 2008. “Christianity in the Gulf during the first Centuries of Islam.” *Arabian Archeology and Epigraphy*, 19:71: 71-108.


[6] დუმათ ალ-ჯანდალის შესახებ იხ.: პავლე ჭანტურიშვილი. ,,დუმათ ალ-ჯანდალის დაცვის სიგელი“, *ცივილიზაციური ძიებანი,* № 18, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის კვლევათა ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 152-157.

Crone, Patricia. 2004. *Meccan Trade and the Rise of Islam.* Piscataway, N.J.: Gorgias Press.

Debie, Muriel. 2016. "Christians in the Service of the Caliph: Through the Looking Glass of Communal Identities." *Christians and Others in the Umayyad State*, edited by Antonie Borrut and Fred Donne, The University of Chicago, Illinois: 53-73.

Dunlop, D. M. 1957. "Sources of Gold and Silver in Islam according to al-Hamdani (10th Century A.D.)," *Studia Islamica*, no. 8: 29-49.

Elders, J. 2001. "The Lost Churches of the Arabian Gulf: Recent Discoveries on the Island of Sir Bani Yas and Marawah," Abu Dhabi Emirate, United Arab Emirates. *Proceeding of the Seminar for Arabian Studies*, vol. 31, papers from the thirty-fourth meeting of the Seminar for Arabian Studies held in London, 2000: 47-57.

Griffith, Sidney H. 2001. "Christians and Christianity." In *The Encyclopaedia of the Qur'ān*, edited by Jane Dammen McAuliffe, vol. 1 (A – D), 310-311. Leiden-Boston-Köln: Brill

Guillaume, Alfred. 2006. *The Life of Muhammad: A Translation of Ibn Ishaq's Sīrat Rasūl Allāh*. Karachi: Oxford University Press, §259.

Hoyland, Robert G. 2001. *Arabia and the Arabs. From the Bronze Age to the Coming of Islam*. London: Routledge.

Ibn Kathir. 1998. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*. Translated by Professor Trevor Le Gassick. Reviewed by Dr. Muneer Fareed. Great Books of Islamic Civilization. Center for Muslim Contribution to Civilization, University of Michigan. U.S.A: Garnet Publishing.

Mirza, Maham H. 2011. "A Delegation of Christians from Najran Visits the Prophet Muhammad." *Contemporary English Sirah Literature for a Western Audience, Islamic Studies,* vol. 50, no. 2: 159-170.

Nickel, G. 2006. "We Will Make Peace with You: The Christians of Najran in Muqatil's Tafsir." An extract from *Collectanea Christiana Orientalia,* 3: 171-188.

Power, Timothy. 2012. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate. AD 500-1000*. Cairo: American University in Cairo.

Qureshi, Muhammad Siddique. 1991. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*. New Delhi: Kitab Bhavan.

Robin, C. J. 2012. "Arabia and Ethiopia." *The Oxford Handbook of Late Antiquity*: 247-332.

Ibn Sa'd. n.d. *Kitāb aṭ-Tabaqāt al-Kabīr li-Muḥammad bin Sa'd bin Manī' az-Zahiriyyi,* t. 230. https://ia902704.us.archive.org/28/items/WAQ49583/tisaad01.pdf.
( ابن سعد. كتاب الطبقات الكبير لمحمد بن سعد بن منيع الزهري ت 230 .)

Scher, A. 1919. *Histoire Nestorienne Inedite (Chronique de Seert), Seconde Partie, Patrologia Orientalis*. Paris: Firmin-Dibot.

Shahid, Irfan A. 2003. "Najran." In *The Encyclopedia of the Qur'ān,* edited by Jane Dammen McAuliffe, vol. 3, 500-501. Leiden-Boston-Köln: Brill.

Watt, W. Montgomery. 1956. *Muhammad at Medina*. Oxford: At the Clarendon Press.

Zouberi, Joan. 2017. "The Role of Religion in the Foreign Affairs of Sasanian Iran and the Later Roman Empire (330-630 A.D.)." *Historia i Świat*, nr. 6: 121-132.

Большаков, О. Г. 2000. *История халифата. Том 1. Ислам в Аравии 570-633*. Москва: Восточная литература.

Ибн Хишам. 2007. *Жизнеописание пророка Мухаммада. Рассказанное со слов аль-Баккаи, со слов Ибн Исхака аль-Мутталиба (первая половина VIII века).* Перевод с арабского Н. А. Гайнуллина. Москва: "Умма".

Колесников, А. И. 1967. "Две редакции письма Мухаммеда Сасанидскому шаху Хосрову II Парвизу." *Палестинский сборник.* Выпуск 17(80), *История и культура Ближнего Востока древнего и раннесредневекового времени:* 74-83.

Надирадзе, Л. И. 1968. *Хрестоматия по истории халифата.* Москва: издательство Московского Университета.

Негря, Л. В. 1981. *Общественный строй северной и центральной Аравии в V-VII.* Москва: Наука.
Пиотровский, М. Б. 1985. *Южная Аравия в раннем средневековье.* Москва: Наука.